ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №183

2024 წლის 20 დეკემბერი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკურორტო მომსახურება(პროგრამული კოდი: 06 02 18) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკურორტო მომსახურება“ (პროგრამული კოდი: 06 02 18) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №99 დადგენილების (www.matsne.gov.ge. 22/12/2023წ., 010250020.35.160.016832) პირველი მუხლით დამტკიცებულ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკურორტო მომსახურება“ (პროგრამული კოდი: 06 02 18) განხორციელების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი შინაარსის ცვლილებები:

ა) ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი;

ბ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს კურორტებზე მომსახურების ხარჯების (არანაკლებ 6 დღისა) დაფინანსება განისაზღვრება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 1000 ლარის ოდენობით.“;

გ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს და წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

დ) ბავშვის ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში);

ე) შშმ პირის სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტის ასლი – ფორმა NIV-50/4 ან ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან;

ვ) დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ინვოისი და კალკულაცია საკურორტო მომსახურების მიმწოდებლისგან.“;

დ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკურორტო მომსახურების მიმწოდებელი ქვეპროგრამის განმახორციელებელს შესრულებული

სამუშაოს ბოლოს წარუდგენს ბავშვისა და მისი თანმხლები პირის მომსახურების გაწევის დამადასტურებელ დოკუმენტს (ანგარიშფაქტურა, მომსახურების ღირებულების კალკულაცია).“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ალექსანდრე ბერიძე**
მოვალეობის შემსრულებელი